ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.01.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/15

შეკითხვა:

ადვოკატი „ა“ იცავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის ინტერესებს. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია აღნიშნული პირის მშობელთან. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დასაცავი პირის მშობელმა გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვა და ადვოკატ „ა“-ს განუცხადა, რომ საქმეს სხვა ადვოკატი გააგრძელებდა. მიუხედავად ხელშეკრულების მხარის ასეთ განცხადებისა, მას საქმეში არ დაუფიქსირებია ადვოკატ „ა“-ს აცილების შესახებ და, ასევე, არ არის ცნობილი დასაცავი პირის ნება.

საქმის პროკურორი, რომელსაც, ასევე არ აქვს ინფორმაცია ადვოკატ „ა“-ს აცილების შესახებ, ატყობინებს ადვოკატ „ა“-ს, რომ მოახლოებულია მტკიცებულებათა გაცვლის ეტაპი და სწორედ ადვოკატმა „ა“-მ უნდა მიიღოს მონაწილეობა. აღნიშნულ საპროცესო მოქმედებაში ადვოკატის მონაწილეობა აუცილებელია სასჯელაღსრულებაში მყოფი პირის ინტერესების დასაცავად. საქმეში ჩართული ახალი ადვოკატი, გარკვეული მიზეზების გამო, უარს ამბობს ამ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობაზე. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატმა „ა“-მ მხოლოდ მშობლისაგან მიიღო მითითება საქმის სხვა ადვოკატის გადაბარების შესახებ და არ იცის დასაცავი პირის რეალური ნება, უნდა იმოქმედოს თუ არა კლიენტის ინტერესების დასაცავად?

ანალიზი:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ.“

დაცვის განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშვება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი. საქართველოს სისხლის სსამართლის საპროცესო კოდექსის 41–ე მუხლის მიხედვით, „ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.“ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ „ა“-სთან გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის მშობელი.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინური საქმეზე №029/11 დაადგინა, რომ: ,,კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. ადვოკატთან, კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის მიერ, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას, აღნიშნული პირი წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც ევალება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მაგრამ ადვოკატს ვალდებულებები უშუალოდ წარმოიშობა იმ პირის მიმართ, ვისი დაცვაც უნდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობად ითვლება ადვოკატისა და იმ პირის ურთიერთობა, უშუალოდ ვისი სახელითაც მოქმედებს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.“

ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ ,,პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე ინფორმირებულია თავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.“

მოცემულ შემთხვევაში მშობელი წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს და კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის. ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი „ა“ ახორციელებდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის დაცვას, შესაბამისად, კლიენტად მიიჩნევა აღნიშნული პირი და ადვოკატს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით კლიენტის მიმართ გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა უშუალოდ მის წინაშე ეკისრება.

ადვოკატ „ა“-ს აქვს ვალდებულება მოახდინოს უშუალოდ კლიენტის ინფორმირება და, ასევე, შეიტყოს უშუალოდ მისი ნების შესახებ, ვიდრე შეწყვიტავს მასთან ურთიერთობას. ადვოკატს ევალება დაუკავშირდეს კლიენტს, პირადად მას განუმარტოს საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის მოტივი და კლიენტთან შეათანხმოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ადვოკატი უნდა

მოქმედებდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ადვოკატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ კლიენტის ინტერესებს ეხება.
შესაბამისად, ვინაიდან ადვოკატმა „ა“-მ, ურთიერთობის შეწყვეტის საკითხზე იცის მხოლოდ კლიენტის მშობლის მოსაზრება, რომელიც, ასევე, ოფიციალუად საქმეში არ ფიქსირდება, მან უშუალოდ დასაცავი პირისაგან უნდა შეიტყოს, სურს თუ არა მას წარმომადგენლობა გააგრძელოს ადვოკატმა „ა“-მ. თუ ადვოკატი ვერ მოახერხებს საკითხის დაზუსტებას მტკიცებულებათა გაცვლის ვადის დადგომამდე, მან უნდა განახორციელოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საჭირო საპროცესო მოქმედება, რადგან შესაძლოა დასაცავ პირს არ სურდეს ადვოკატ „ა“-სთან ურთიერთობის შეწყვეტა. ამიტომ, ასეთი ქმედებით, ადვოკატი „ა“ თავიდან აიცილებს ეთიკური ნორმების შესაძლო დარღვევის შემთხვევას.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლო სურვილის შესახებ ადვოკატს აქვს ინფორმაცია მხოლოდ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მხარისაგან-დასაცავი პირის მშობლისაგან და არ აქვს ინფორმაცია თავად დასაცავი პირის ნების შესახებ, ასევე, არ არის საქმეში დაფიქსირებული ოფიციალური დოკუმენტი ადვოკატის აცილების თაობაზე, ადვოკატმა უშუალოდ კლიენტისაგან უნდა შეიტყოს ინფორმაცია მისი ნების შესახებ, ამ საკითხთან დაკავშირებით.

თუ კლიენტის ინტერესების დასაცავად საჭიროა გარკვეული საპროცესო მოქმედების განხორციელება და ადვოკატი ვერ ახერხებს დაუკავშირდეს კლიენტს ამ საპროცესო მოქმედების განხორციელების ვადის მოსვლამდე, მან უნდა განახორციელოს ეს ქმედება, რადგან კლიენტს შესაძლოა არ სურდეს ადვოკატთან ურთიერთობის შეწყვეტა. ამიტომ, ასეთი ქმედებით, ადვოკატი თავიდან აიცილებს ეთიკური ნორმების შესაძლო დარღვევის შემთხვევას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.